საექსპერტო დასკვნა

სასაწყობე - საოფისე შენობა

ქ.თბილისი, ორხევის დასახლება მექანიკური ქარხნის მიმდებარედ

ს/კ 01.19.18.003.140

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №261 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47, არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

დამკვეთი: შპს აპტოსი

პროექტის ავტორი: ლევან სიამაშვილი

ექსპერტი: ლევან შველიძე

შენიშვნები

- საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები -ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

<u>საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:</u>

პირობითი აღნიშვნები;

შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;

საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;

შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა

შენობა-ნაგებობის ჭრილები;

შენობა-ნაგებობის ფასადები;

კიბის დეტალური ნახაზები;

ფასადისა და სახურავის დეტალური ნახაზები;

სარჩევი

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება ---------- 1

კონსტრუქციის ტიპების შეფასება ---------- 2

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 3

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება---------- 4

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება-- 5

მისაწვდომობის შეფასება ---------- 6

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება---------- 7

სახურავის ანაწყობების შეფასება ---------- 8

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება----------9

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება ---------- 10

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება----------11

სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობასთან მისასვლელი გზების შეფასება---------- 12

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სასაწყობე - საოფისე შენობის დაგეგმარება თანამედროვე დაგეგმარების პრინციპებისა და შენობა- ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური ფართია 6841.00 კვ/მ მდებარეობს ქალაქი თბილისი , ორხევის დასახლება, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ N 01.19.18.003.140 საკადასტრო ერთეულზე.საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთით, გზის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე,ხოლო დანარჩენი მხრიდან რეგისტრირებული კერძო მიწის ნაკვეთები.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა შედგება რამდენიმე ნაწილისგან. საძირკვლად გამოყენებულია ბეტონის (რკინაბეტონის) მონოლითური ფილა. შენობის კონსტრუქციად გამოყენებულია ლითონის მზიდი კონსტრუქცია, გადახურვის და გარე კედლის მასალად გამოყენებულია “სენდვიჩპანელი“.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებისმიხედვით საპროექტო შენობისთვის განსაზღვრულია II-B კონსტრუქციის ტიპი.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს დაკავებულობები არის:

სწ-1 (311.2) -საშუალო საფრთხის სასაწყობე ჯგუფი, რომელიც მოიცავს საწყობად გამოყენებული შენობებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც სწ-2 ჯგუფის და სადაც ინახება მუყაო და მუყაოს ყუთები, თოკები და არა მხოლოდ; ეს დაკავებულობა განლაგებულია 0.000 და ნიშნულზე. წესების 1004.1.2 ქვეთავის მიხედვით ამ დაკავებულობისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (46.5 მთლიანი).

სქ (304,1)- საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე,პროეფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის. მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. სქ დაკავებულობა განლაგებულია 3.950 ; 7.900; ნიშნულებზე. წესების 1004 ქვეთავისა და 1004,1,2,ცხრილის მიხედვით, ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (9,3 მთლიანი).

სწ-2 (311.3)- მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი, სადაც სადაც არაწვადი მასალები ინახება ხის ყუთებში, მუყაოს კოლოფებში ან ქაღალდის სახვევშია მოთავსებული. ასეთ პროდუქტებზე დასაშვებია უმნიშვნელო რაოდენობით პლასტმასის გაფორმება, მაგ.: კნოპები, სახელურები ან თხელი სახვევები. ეს დაკავებულობა განლაგებულია 0.000 და 11.850 ნიშნულებზე. წესების 1004.1.2 ქვეთავის მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (46,5 მთლიანი).

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები *შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი წესების 1004,1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულპროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო,ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

2. კონსტრუქციული შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია 721.1 ცხრილის მიხედვით) ,შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე, შენობისთვის განსაზღრულია II -B კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ლითონის სტრუქტურულ ელემენტებზე დაფუძნებული ქანობიანი გადახურვის კონსტრუქცია) აკმაყოფილებს წესების 601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს. პროექტის მიხედვით ,ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი 721 ქვეთვაში აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეესაბამება/აღემატება 601 ცხრილში II-B კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციული ტიპის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-1 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	3	1
ფართი	1630	768.48
სიმაღლე	16.8	14.55

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სქ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	2
ფართი	2140	548.70
სიმაღლე	16.8	11.85

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	4
ფართი	2420	557.73
სიმაღლე	16.8	15.0

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს, კერძოდ:

- შენობის 0.000 ნიშნულიდან + 11.850 ნიშნულის ჩათვლით სართულებზე მოწყობილია ორი შიდა გასასვლელი გზა კიბე 1021 ქვეთავის, 1021,2(1) და 1021,2(2) ცხრილების შესაბამისად. შიდა გასასვლელი გზა კიბე დაგეგმარებულია 1009.2, 1009.3 1022.1 და 1022.3 ქვეთავების მიხედვით.
- შენობიდან გამოსასვლელი წესების 1027 ქვეთავის შესაბამისად მდებარეობს მიწის დონეზე და გადის შენობის გარეთ.
- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს წესების 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბის და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- შენობაში 0.000; 11.850 ნიშნულის ჩათვლით პროექტით გათვალისწინებულია ორი შიდა გასასვლელის გზაკიბე. რომლის სიგანე არის 120 სმ-ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გზა-კიბის, გზა-კარების და დერეფნების სიგანის ანგარიშისას გათვალისწინებულია წესების 1005.3.1 და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნები და ისეა დაგეგმარებული, რომ მასთან დაკავშირებული სივრცეებისათვის გამტარუნარიანობა სრულყოფილად უზრუნველყოს.

- კიბეზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი წესების 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური წესების 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს წესების 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება წესების 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორად არის დაგეგმარებული. დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს წესების 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს წესების 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკია. თუ მიმოსვლის ბილიკი შიდა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიდა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. (იხილეთ სტანდარტის შეფასება).

საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი საქმიანი ერთეულები, მე-11 თავის შესაბამის დებულებებს.

მისაწვდომი სვლაგეზები გათვალისწინებულია 1102.3 ქვეთავის მიხედვით. ყველა სივრცე და ელემენტი, რომელიც ამ სივრცის ნაწილია, უწყვეტადაა დაკავშირებული მისაწვდომ სვლაგეზთან.

მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. (იხილეთ სტანდარტის შეფასება).

შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან, შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა ყველა სართულზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- ნაგებობაში მოწყობილია ლიფტი წესების 1109.7 1007.2.1 ქვეთავების მოთხოვნით, რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის.

- ლიფტის დაგეგმარებისას გამოყენებულია წესების 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტის შახტის შემომზღუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნას.

- 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის მიხედვით, ლიფტის წინ არ არის მოწყობილი ფოიე.

- ლიფტის შახტის საჰაერო ღიობის ფართობი უტოლდება 0,3 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება 1704.3 პუნქტის მოთხოვნას. საჰაერო განთავსებულია შახტის ზედა ნაწილში და გადის გარეთ.

მისაწვდომობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი სექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას,ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად: საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები), აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით. ასევე 705.8.5 და 716 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების 1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

შენიშვნა:

გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს, ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

- საპროექტო შენობის სახურავი არის დაუკავებელი, კომბინირებული ტიპის, კერძოდ „A-C“ ნაწილში ბრტყელი და „C-A“ ნაწილში მცირედ ქანობიანი.
- შენობის „A-C“ ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს (II-B) კონსტრუქციის ტიპი, გადახურულია გაძლიერებული ბეტონის ფილით, რომელზეც გათვალისწინებულია ქვაბამბის/მინერალური ბამბის (MW) თბოიზოლაცია, შემდეგ ცემენტით მოსწორება და ჰიდროიზოლაციის ფენა. აღნიშნულ გადახურვას გააჩნია სულ მცირე 2 საათიანი ხანძარმედეგობა. აღნიშნულ ნაწილში სახურავის ბურულის მასალა განსაზღვრულია B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- შენობის „C-A“ ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს (II -B) კონსტრუქციის ტიპი, გადახურულია 15 სმ სისქის სენდვიჩპანელით, რომლის შიგთავსი ქვაბამბისგან შედგება. (აღნიშნული მასალა არაწვადია). 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-B ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი. აღნიშნულ ნაწილში სახურავის ბურულის მასალა განსაზღვრულია C კლასის კატეგორიით. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.
- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავზედა ნაგებობების ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- 1009.16 ქვეთავის თანახმად, სახურავზე ვხვდებით მონაცვლესაფეხურიანი კიბისა და სახურავის ლიუკის მეშვეობით.

სახურავის ანაწყობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

ვინაიდან შენობაში სამი სხვადასხვა დაკავებულობაა 508.4 ცხრილის მიხედვით სწ-1 სწ-2, სქ დაკავებულობები ერთმანეთისგან საჭიროებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯვნავს. გამმიჯნავის ფუნქციას ამ შემთხვევაშიც ასრულებს სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილა. გამმიჯნავები სრულად აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

- +3.95 ნიშნულზე მოეწყო გადასასვლელი ხიდი, რომელიც უკავშირდება მომიჯნავედ, 01.19.18.003.044 საკადასტრო ერთეულზე არსებულ შენობას. აღნიშნული გადასასვლელი არ წარმოადგენს აუცილებელ გასასვლელ საშუალებას და მოწყობილია დამატებით, დამკვეთის სურვილით მომიჯნავე შენობასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. გადასასვლელი გამიჯნულია საპროექტო შენობიდან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდით და 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითხურებადი კარით. საპროექტო დამაკავშირებელი ხიდის მოწყობით არ ხდება არსებული შენობის შეუსაბამობის ხარისხის ზრდა, რაც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა

10. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

სახანძრო მილდგარების სისტემა;
905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.
თანახმად 905.4 ქვეთავისა:
-გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, III კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში, შუალედურ დონეზე არსებულ ბაქნებზე.
-მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიცსახურავს უკავშირდება კიბით, რაც საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. III კლასის მილდგარი განთავსებულია სახურავის გასასვლელთან არსებულ ბაქანზე. თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- III კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი მთელს შენობაში, გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

ხელის ცეცხლმაქრები :

ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულიაყველა დაკავებულობაში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას (სახანძრო სიგნალიზაცია). განგაშის გასააქტიურებელი კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება.შენობაში განთავსებულია კვამლაღმომჩენები, 907 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად. კვამლაღმომჩენებით უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის სისტემა.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

ლიფტისა და კიბის შახტები უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე- 6 გამონაკლისით. შახტები შემოზღუდულია 713 ქვეთავის შესაბამისად. სქ,სწ-1 და სწ-2 დაკაბეულობები არ საჭიროებს ხელოვნურ განიავებას რადგან ნიავდება ბუნებრივად და აკმაყოფილებს 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნებს.

- **ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა სწ-2 დაკავებულობაში სავალდებულო არ არის, რადგან 903.2.10 ქვეთავში ჩამოთვლილი გარემოებები არ ფიქსირდება.**
- **სწ-1 ჯგუფის დაკავებულობაში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა სავალდებულო არ არის, რადგან ხანძრისგან დაცული ფართობი არ აღემატება 1200 კვ/მ-ს, რაც სრულად შეესაბამება 903.2.9 ქვეთავის პირველ პუნქტს და არ არსებობს მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებები. ასევე სრულად შეესაბამება 903.2.9.1 ქვეთავის მე-2 პუნქტს და არ არსებობს პირველ, მე-3, მე-4, პუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებები.**

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად .

პროექტით გათვალისწინებულისქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები 1602.2 ქვეთავისა და 1602.1 ცხრილის მიხედვით.

12. <u>სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობასთან მისასვლელი გზების შეფასება:</u>

- 915.3 ქვეთავის შესაბამისად, შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან და უტოლდება 12.45 მეტრს.
- 915.4 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს და არ აღემატება 30 მეტრს, სავალდებულოა ქონდეს არანაკლებ 4.2 მეტრის სიგანის სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.8 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრზე მეტია და არ აღემატება 30 მეტრს, სახა-ნძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზა, შენობის მხარეს მდებარე გზის კიდიდან თარაზულად შენობის გარე მხარის უახლოეს ნაწილამდე, დაცილებული უნდა იყოს არანაკლებ 4.5 მეტრი და არაუმეტეს 9 მეტრი მანძილით. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.9 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს, შენობის ნაწილებთან მისაწვდომად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო ტექნიკის მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, რომლის თავისუფალი სიგანე უნდა იყოს, სულ მცირე, 8 მეტრი. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.11 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 23 მეტრს, შენობასთან მისადგომად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზა ერთი მხრიდან მთელ სიგრძეზე. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა, უფრო მეტიც, სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზა გათვალისწინებულია სულ მცირე ორი მხრიდან.
- 915.14 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სწ ჯგუფში შემავალ შენობა-ნაგებობასთან, რომელთა სიგანე 30 მეტრზე მეტია, სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი გზა უნდა მოეწყოს მთელ სიგრძეზე, სულ მცირე, ორი მხრიდან. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.16 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სახანძრო ავტოკიბეებისა და ავტოამწეებისათვის ხანძრის ჩაქრობის და სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით შენობასთან დგომის ადგილის დახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.23 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სახანძრო ტექნიკის მისადგომ ჩიხურ გზებს, რომელთა სიგრძე აღემატება 45 მეტრს, უნდა ჰქონდეს სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მოსაბრუნებელი არეალი. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე ჩიხის ბოლოში გათვალისწინებულია მოსაბრუნებელი მოედანი ზომით 15მ×15მ-ზე.
- 915.25 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები არ უნდა ჩაიხერგოს არცერთ შემთხვევაში, მათ შორის, ავტოსადგომი სივრცეებით. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.

დ ა ს კ ვ ნ ა

აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქალაქი თბილისი , ორხევის დასახლება, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ N 01.19.18.003.140 საკადასტრო ერთეულზე მდებარე სასაწყობე - საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს წესებთან შესაბამისობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე .)უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ***ლევან შველიძე***

11.02.2025წ.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული, სანებართვო პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №261 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

სარჩევი

მისაწვდომი სვლაგეზი

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები;

თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;

პანდუსები;

ლიფტი.

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

მისაწვდომი გზა-კიბეები;

ფანჯრები.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

ტუალეტების ოთახები:

უნიტაზები;

ხელსაბანები

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

ნიშნები;

მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე- 4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად.

მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ- ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **საპროექტო შენობის ლიფტი აკმაყოფილებს სატნდარტების 407 ქვეთავის მოთხოვნებს ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.** იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად)

<u>ადგილის და შენობის ელემენტები</u>

საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით

„გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიდა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

<u>წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები</u>

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

<u>საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები</u>

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის№41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

